ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 50-103

"27" დეკემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში და დადგენილების (www.matsne.gov.ge, 08/09/2021, 010250050.35.101.016900) პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურების პირობებისა და საფასურის ოდენობის განსაზღვრის წესის" (დანართი №13):

1. მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. პერსონალური კონსულტანტი იღებს შრომის ანაზღაურებას კანონმდებლობით დადგენილი წესით რაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოიცავდეს ასევე დამატებით შრომის ანაზღაურების მიცემას თითოეულ ობიექტზე ან/და ამ წესის მე-9 მუხლის შესაბამისად გაწეული მომსახურებისათვის.".

2. მე-8 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 მუხლი:

„მუხლი 9. პერსონალური კონსულტანტის მომსახურების განსაკუთრებული პირობები

1. პირი, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიმართავს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის“ მე-5 მუხლის 4^1 პუნქტის „ა.ა“, „ბ.ა“, „გ.ა“ ქვეპუნქტებით, 4^2 პუნქტის „ა.ა“, „ბ.ა“, „გ.ა“ ქვეპუნქტებით, 4^3 პუნქტის „ა.ა“, „ბ.ა“, „გ.ა“ ქვეპუნქტებით და 4^4 პუნქტის „ა.ა“, „ბ.ა“ და „გ.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დაჩქარებული მომსახურების გაწევის მიზნით, იგი იმავდროულად იღებს პერსონალური კონსულტანტის მომსახურებას. ასეთ შემთხვევაში, ამ წესით გათვალისწინებული განცხადების (პერსონალური კონსულტანტის მომსახურების მიღების მიზნით) წარდგენა არ ხდება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაჩქარებული მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, პერსონალური კონსულტანტი დაუყოვნებლივ უკავშირდება დაინტერესებულ პირს და აცნობებს მის მიერ მომსახურების გაწევის შესახებ.

3. პერსონალური კონსულტანტის მომსახურება მოიცავს:

ა) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ან განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

ბ) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ან განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებისათვის შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში, კანონმდებლობით დადგენილი ვადების ფარგლებში ადმინისტრაციული წარმოებისათვის კოორდინაციის პროცესში ხელშეწყობას;

გ) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ან განაშენიანების რეგულირების გეგმის განხილვის დროს, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული შენიშვნის/ხარვეზის/მოთხოვნის განმარტებას.

4. პერსონალური კონსულტანტის მომსახურება სრულდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 3 თვეში.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული პერსონალური კონსულტანტის მომსახურებისათვის საფასური არ გადაიხდება.

6. ეს მუხლი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ პერსონალური კონსულტანტი უკვე ახორციელებს მომსახურებას ამ წესის შესაბამისად და ამ მომსახურების ფარგლებში დაინტერესებული პირის მიერ განხორციელდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაჩქარებული მომსახურების მოთხოვნა.

7. პერსონალური კონსულტანტის მიერ ამ მუხლის შესაბამისად მომსახურების გაწევის შემთხვევაში, მასზე ვრცელდება ამ წესით გათვალისწინებული დებულებები, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის პირველი თებერვლიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე